



2017

საქართველოს
ტურიზმის
სტატისტიკური
აღმსახურება

შეჯამება

2017 წლის სტატისტიკური ანგარიში მიმოიხილავს ტურიზმის სექტორში არსებულ მდგომარეობას და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ აქტივობებს.

2010 წლიდან საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელობის გაზრდაში. ადმინისტრაციის მიზნებია საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ქვეყანაში საექსპორტო შემოსავლების ზრდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წახალისება.

სტატისტიკური მონაცემებით, 2017 წელს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიამ ზრდა განაგრძო. ამ წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 1,182,534-ით გაიზარდა და პირველად გადააჭარბა შეიქ მილიონს.

საერთაშორისო და შიდა ტურიზმი დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. უცხოელი ვიზიტორების დანახარჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს საგადაამხდლო ბალანსზე. ქვეყნის სერვისის ექსპორტის შემოსავლიდან დაახლოებით 68% ტურიზმზე მოდის. საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები მზარდი ტენდენციით გამოირჩეოდა, შედეგად 2017 წელს მისმა მოცულობამ 2.75 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. მშპ-ში წილმა კი 6.9%-ს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევა ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების 257 მილიონი ლარით ზრდის შედეგად გახდა შესაძლებელი.

2017 წელს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაში დარეგისტრირებული იყო 1,955 განთავსების ობიექტი 65,943 საწოლი ადგილით. განთავსების საშუალებების ოთახების მიხედვით კლასიფიკაციის თანახმად, ხუთი და ნაკლები ოთახის რაოდენობრივი კატეგორია ყველაზე მსხვილი იყო 766 (39%), დანარჩენი კატეგორიების განთავსების ობიექტებმა კი 1,189 (61%) შეადგინა.

2017 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენციის ინდექსის თანახმად, საქართველო მსოფლიო ბაზარზე ტურისტული კონკურენტუნარიანობის მიხედვით 70-ე პოზიციას იკავებს

136 ქვეყანას შორის (ქულა: 3.70). 2015 წელთან შედარებით გაუმჯობესება შეინიშნება შემდეგ მაჩვენებლებში: ბიზნეს გარემო, დაცვა და უსაფრთხოება, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორიტეტულობა, ეკოლოგიური მდგრადობა, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსები, კულტურული რესურსები და საქმიანი მოგზაურობა.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები ძალიან ოპტიმისტურია. მომავალ წლებში პროგნოზირებენ, რომ ინდუსტრია შექმნის უფრო მეტ სამუშაო ადგილს და მიიღებს მეტ შემოსავალს. საქართველოს მთავრობისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთობლივი საქმიანობის შედეგად საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა არის მოსალოდნელი. ამაში კი 2015 წელს შექმნილმა ტურიზმის ათწლიანმა სტრატეგიამ უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს.

საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების გასაზრდელად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: ტურიზმის მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობის გამარტივება, სერვისის ხარისხის გაუმჯობესება, საქართველოს ცნობადობის ამაღლება, მარკეტინგული აქტივობების იმპლემენტაცია, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზარზე და ტურისტული პროდუქტის განვითარება.

2017 წელს ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო 23 საერთაშორისო და შიდა ტურისტულ გამოფენაში, ჩაატარა 113 პრეს და გაცნობითი ტური (683 ჟურნალისტი და 239 ტურ-ოპერატორი). გარდა ამისა, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ აწარმოა სარეკლამო კამპანია საერთაშორისო ონლაინ პლატფორმა Tripadvisor.com-ზე 10 ქვეყანაში, Expedia-ზე სამ ქვეყანაში, ზამთრის ინტერნეტ მარკეტინგული კამპანია 19 ქვეყანაში, ხოლო ზაფხულის-14 ქვეყანაში. მიმდინარეობდა სარეკლამო კამპანია მსოფლიოს წამყვან ტელეარხებზე, როგორცაა: Discovery Channel, Euronews და BBC.

იმედი გვაქვს, რომ ეს პუბლიკაცია გახდება ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო, რომელსაც სმირად მიუბრუნდებით.

საერთაშორისო ვიზიტები

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. 2017 წელს ამ რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს 7,902,509-ს მიაღწია (+17.6%).

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას (82%) და სხვა ვიზიტებს (არატურისტული) (18%). საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების 62.8% ტურისტული ვიზიტი იყო, ხოლო 37.2% ერთდღიანი ვიზიტი.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტებს შორის ყველაზე პოპულარული ზაფხულის სეზონია 2,234,946 ვიზიტით, (ივნისი: 531,224; ივლისი: 763,593; აგვისტო: 940,129), რაც მთლიანი ვიზიტების 34.5%-ს შეადგენს.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტებში (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინებით გარეშე) უმეტესი წილი - 78.5% (4,731,057) მეზობელ ქვეყნებს უკავიათ, მხოლოდ 21.5% (1,295,641) მოდის სხვა ქვეყნებზე. წლის ლიდერი ვიზიტების რაოდენობით აზერბაიჯანია 1,301,556 (+21%), ხოლო რაოდენობრივი ზრდის მიხედვით რუსეთი (+285,792). მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა ასევე აზერბაიჯანელი (+225,736), ირანელი (+152,616) და სომეხი ვიზიტორების მიერ განხორციელებული (+134,934) ვიზიტების რაოდენობაში. აღნიშნული ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორები ავიარების დასაბრუნებელი, პრესტურები და ტურისტული ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანია.

ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 283,312 შეადგინა.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების უმრავლესობა 4,958,039 (76.5%) სახმელეთო ტრანსპორტის მეშვეობით განხორციელდა, შემდეგ არის საჰაერო ტრანსპორტი 1,439,689 (22.2%). სარკინიგზო და საზღვაო გზით ვიზიტების რაოდენობამ, შესაბამისად 53,416 (0.8%) და 31,686 (0.5%) შეადგინა. ყველაზე დატვირთული საზღვარია თბილისის აეროპორტი 1,133,811 ვიზიტით (მთლიანი საზღვრის კვეთების 17.5%). მას მოსდევს სარფი 1,101,317 (17%) და ყაზბეგი 1,045,488 (16.1%).

ძირითადი ინფორმაცია

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკა მონოდეჟულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ.

მეთოდოლოგია

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების სტატისტიკა აღწერს ვიზიტების რაოდენობის დინამიკას, რომლებიც 21 სასაზღვრო გამშვები პუნქტის საშუალებით განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებს კარნახის რკინიგზა დაემატა.

ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები

მოგზაური არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამოიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან. საერთაშორისო მოგზაურის მიერ განხორციელებულ ვიზიტს **საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტად** მოვიხსენიებთ.

ვიზიტორი არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით. საქართველოში ჩვეული გარემოს განსასაზღვრად შეირჩა მეთოდი, რომლის თანახმადაც ჩვეულ გარემოში ითვლება ის ვიზიტები, რომელიც თვეში 8-ჯერ ან 8-ზე მეტჯერ ხორციელდება. საერთაშორისო ვიზიტორის მიერ განხორციელებულ ვიზიტს **საერთაშორისო ვიზიტს** ვუწოდებთ.

ტურისტი არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები **საერთაშორისო ტურისტული ვიზიტებია**.

ერთდღიანი (ექსკურსანტი) არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე. მათ მიერ განხორციელებული ვიზიტები ერთდღიანი (ექსკურსიული) ვიზიტებია.

სხვა ვიზიტები (არატურისტული) მოიცავს ყველა იმ ვიზიტს, რომელიც არ შედის საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობაში. ეს კატეგორია მოიცავს 15 წელზე უმცროსი ასაკის მოგზაურების ვიზიტებს და ჩვეულ გარემოში განხორციელებულ ვიზიტებს (8 და 8-ზე მეტი თვეში).

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურისტების ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: www.gnta.ge

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში მეზობელი ქვეყნების წილი იკლებს. 2017 წელს მეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტებმა 4,731,057 შეადგინა, რაც +16.4%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. სხვა ქვეყნების ვიზიტების ზრდა უფრო მნიშვნელოვანი იყო და მათმა რაოდენობამ 1,295,641-ს (+44.3%) მიაღწია. შედეგად მეზობელი ქვეყნების წილი მთლიან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) 81.9%-დან 78.5%-მდე შემცირდა. აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს ტურიზმის სტრატეგიითაც არის გათვალისწინებული.

ირანმა საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობით უკრაინას გადაუსწრო. გამარტივებული საავიზო რეჟიმისა და პირდაპირი ფრენების დანიშვნის შედეგად ირანიდან ვიზიტების რაოდენობის ზრდა გრძელდება. 2017 წელს ირანმა რაოდენობით უკრაინას გადაუსწრო. აღნიშნულ პერიოდში ირანელი ვიზიტორების მიერ განხორციელებულმა ვიზიტების რაოდენობამ 282,549 შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით +117.5%-ით მეტია (+152,616).

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა საჰაერო გზით მნიშვნელოვნად იზრდება. 2017 წელს საჰაერო გზით განხორციელებული საერთაშორისო ვიზიტების რიცხვმა 1,439,689-ს მიაღწია, რაც +44.1%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. შესაბამისად საჰაერო გზით განხორციელებული ვიზიტების წილი მთლიან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობაში 18.5%-დან 22.2%-მდე გაიზარდა.

გალფის ქვეყნების მალალმხარჯველიანი სემინტისთვის საქართველოს ცნობადობა იზრდება. 2017 წელს საერთაშორისო ვიზიტების ჯამურმა რაოდენობამ აღნიშნული სემინტიდან 84,899 შეადგინა, რაც +72.8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: საუდის არაბეთი +159.8%, ქუვეითი +146.2%, ბაჰრეინი +76.4% და კატარი +74.3%.

დსთ-სა და ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა იზრდება. 2017 წელს დსთ-ს ქვეყნებიდან ვიზიტების რაოდენობამ 3,851,001 შეადგინა, რაც +21.2%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

2017 წელს დსთ-ს ყველა ქვეყნიდან ვიზიტების ზრდა ფიქსირდება, განსაკუთრებული ზრდით გამორჩეული ქვეყნებია: თურქმენეთი (+139.1%), უზბეკეთი (+50.8%), რუსეთი (+33.7%), ბელარუსი (+28%) და ტაჯიკეთი (+24.8%). ასევე მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება ევროკავშირის ქვეყნების საერთაშორისო ვიზიტებშიც. ევროპიდან ვიზიტების რაოდენობამ 283,312 შეადგინა, რაც +23.5%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მათ შორის გამორჩეული რაოდენობრივი ზრდა დაფიქსირდა გერმანელი (+28.7%), პოლონელი (+17.6%), ბრიტანელი (+44.7%), ფრანგი (+31.7%) და ჰოლანდიელი (+32.9%) ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტებში.

საერთაშორისო ტურისტულ ვიზიტებში ლიდერი ქვეყანა რუსეთია. რუსეთიდან ტურისტული ვიზიტების რაოდენობა ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იმატებს. 2017 წელს ტურისტულ ვიზიტებში რუსეთმა პირველი ადგილი დაიკავა 825,437 ვიზიტით, რაც +35.8%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

არამეზობელი ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის (საქართველოს არარეზიდენტი მოქალაქეების გათვალისწინების გარეშე) მნიშვნელოვანი ნაწილი ტურისტული ვიზიტების კატეგორიაში ხვდება. მეზობელი და არამეზობელი ქვეყნების საერთაშორისო ვიზიტების სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტების მხოლოდ 51.8%-ია ტურისტული ვიზიტი (2,448,551), იგივე მაჩვენებელი არამეზობელი ქვეყნების შემთხვევაში 93.9%-ს (1,216,219) აღწევს.


2017 წლის საერთაშორისო ვიზიტების რეკორდული ზრდა უმეტესწილად ტურისტული ვიზიტების ზრდით იყო განპირობებული. საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რიცხვმა საქართველოში 4,069,354 შეადგინა, რაც +23.4%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ჯამში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა +1,090,014-ით გაიზარდა, ზრდაში ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 772,079-ს (ზრდაში წილი 70.8%) შეადგენდა.

საერთაშორისო მოგზაურობის კლასიფიკაცია

ვიზიტის ტიპი	2015	2016	2017	ცვლილება % 2016-2017
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	6,305,635	6,719,975	7,902,509	17.6%
საერთაშორისო ვიზიტები	5,255,999	5,392,816	6,482,830	20.2%
ტურისტული ვიზიტები	3,011,663	3,297,275	4,069,354	23.4%
ერთდღიანი ვიზიტები	2,244,336	2,095,541	2,413,476	15.2%
სხვა ვიზიტები (არატურისტული)	1,049,636	1,327,159	1,419,679	7%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა წლების მიხედვით




წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები რეგიონების მიხედვით


რეგიონი	2016	2017	ცვლილება	ცვლილება %
მთლიანი ჯამი	5,392,816	6,482,830	1,090,014	20.2%
ევროპა	4,641,856	5,440,839	798,983	17.2%
ამერიკა	33,931	42,485	8,554	25.2%
აღმოსავლეთ აზია/ წყნარი ოკეანის აუზი	204,208	397,148	192,940	94.5%
აფრიკა	6,302	8,193	1,891	30%
ახლო/შუა აღმოსავლეთი	71,377	131,533	60,156	84.3%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო


საერთაშორისო ვიზიტები თვეების მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები, პირველი 10 ქვეყანა

ქვეყანა	2016	2017	ცვლილება	ცვლილება %
აზერბაიჯანი	1,075,820	1,301,556	225,736	21%
სომხეთი	1,152,234	1,287,168	134,934	11.7%
რუსეთი	849,265	1,135,057	285,792	33.7%
თურქეთი	988,312	1,007,276	18,964	1.9%
საქართველო (არარეზიდენტი)	429,343	456,132	26,789	6.2%
ირანი	129,933	282,549	152,616	117.5%
უკრაინა	151,630	169,862	18,232	12%
ისრაელი	85,398	115,040	29,642	34.7%
პოლონეთი	41,609	48,913	7,304	17.6%
ყაზახეთი	40,895	47,241	6,346	15.5%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები, პირველი 10 ქვეყანა

ქვეყანა	2016	2017	ცვლილება	ცვლილება %
რუსეთი	607,626	825,437	217,811	35.8%
აზერბაიჯანი	510,771	608,682	97,911	19.2%
თურქეთი	557,303	547,983	-9,320	-1.7%
სომხეთი	404,497	466,449	61,952	15.3%
საქართველო (არარეზიდენტი)	378,404	404,584	26,180	6.9%
ირანი	124,864	273,842	148,978	119.3%
უკრაინა	131,835	147,389	15,554	11.8%
ისრაელი	83,451	112,827	29,376	35.2%
პოლონეთი	40,671	47,604	6,933	17%
ყაზახეთი	38,194	43,699	5,505	14.4%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	მოსაზღვრე ქვეყანა	2016	2017	ცვლილება	ცვლილება %
ჯამი	↓	5,392,816	6,482,830	1,090,014	20.2%
მათ შორის	↓	↓	↓	↓	↓
თბილისის აეროპორტი	786,094	1,133,811	347,717	44.2%
სარფი	თურქეთი	1,084,367	1,101,317	16,950	1.6%
ყაზბეგი	რუსეთი	846,337	1,045,488	199,151	23.5%
ნითელი ხიდი	აზერბაიჯანი	887,059	1,018,548	131,489	14.8%
სადახლო	სომხეთი	875,793	1,012,111	136,318	15.6%
ცოდნა	აზერბაიჯანი	187,147	209,673	22,526	12%
ბათუმის აეროპორტი	120,763	193,699	72,936	60.4%
ნინოწმინდა	სომხეთი	163,664	177,753	14,089	8.6%
ვალე	თურქეთი	113,791	146,052	32,261	28.4%
კარნახი	თურქეთი	49,188	118,822	69,634	141.6%
ქუთაისის აეროპორტი	91,905	112,179	20,274	22.1%
ვახტანგისი	სომხეთი	70,207	75,675	5,468	7.8%
გუგუთი	სომხეთი	34,925	51,895	16,970	48.6%
სადახლოს რკინიგზა	სომხეთი	23,883	27,180	3,297	13.8%
გარდაბნის რკინიგზა	აზერბაიჯანი	20,918	26,195	5,277	25.2%
ფოთის პორტი	16,327	16,876	549	3.4%
ბათუმის პორტი	17,578	12,953	-4,625	-26.3%
ყულევის პორტი	2,185	1,857	-328	-15%
სამთაწყარო	აზერბაიჯანი	474	480	6	1.3%
ახკერუბი	სომხეთი	211	225	14	6.6%
კარნახის რკინიგზა	თურქეთი	0	41	41	

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საერთაშორისო ვიზიტორების მახასიათებლები

საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ ჯამში 6,482,830 შეადგინა. მათგან 62.8% (4,069,354) ტურისტულ ვიზიტს წარმოადგენდა (მინიმუმ ერთ ღამისთვის მოიცავდა), ხოლო 37.2% ერთ-ღობიანი ვიზიტები (2,413,476) იყო.

საერთაშორისო ვიზიტორების ყველაზე დიდ ნაწილს (46.1%) 31-50 წლის ასაკობრივი კატეგორია წარმოადგენდა, 15-30 წლის ვიზიტორები 28.5%-ს შეადგენდნენ, ხოლო 51-70 წლის ასაკობრივი ჯგუფი 23.7% იყო. საერთაშორისო ვიზიტორების მხოლოდ 1.7% ხვდება 71 და მეტ ასაკობრივ კატეგორიაში.

მთლიანი ვიზიტების 75.8% განმეორებით განხორციელდა საქართველოში, 24.2% კი პირველი ვიზიტი იყო. განმეორებითი ვიზიტების ყველაზე დიდი წილი აზერბაიჯანის რეზიდენტებზე (31.5%) მოდის, მას მოსდევს სომხეთი (25.6%), რუსეთი (17%) და თურქეთი (16.1%). პირველადი ვიზიტების რაოდენობაში კი ლიდერობენ რუსეთი და თურქეთი, მათზე შესაბამისად მთლიანი პირველადი ვიზიტების 21.3% და 16.3% მოდის.

მოგზაურობის მიზანი და ხანგრძლივობა

საერთაშორისო ვიზიტების უმრავლესობა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა (37.7%). სხვა ხშირად ნახსენებ მიზნებს შორისაა მეგობრების და ნათესავების მონახულება (22.2%), ტრანზიტი (18.1%), შოპინგი (9.5%), ბიზნესი, პროფესიული საქმიანობა (8.2%) და მკურნალობა (2.7%). მხოლოდ ვიზიტების 1.4% იყო სხვა მიზნით განხორციელებული.

მოგზაურობის საშუალო ხანგრძლივობა ოთხი ღამეა. მეზობელი ქვეყნების რეზიდენტების საქართველოში ყოფნის პერიოდი საკმაოდ მცირეა, რუსეთის რეზიდენტებისგან განსხვავებით, რომლებიც საშუალოდ ექვსი ღამით რჩებიან საქართველოში.

განთავსების საშუალებები

2017 წელს საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტორების ჯამური ღამისთევების რაოდენობა 27,717,127-ს შეადგენს. მათ შორის ყველაზე მეტი ღამისთევა (33.3%) მეგობრის და ნათესავის სახლში განხორციელდა. მეოთხედზე მეტი (27.5%) კი სასტუმროში. სხვა ტიპის განთავსების საშუალებები ნაკლებად გამოიყენება საერთაშორისო ვიზიტორებს შორის, 15.1% სასტუმრო სახლში, ჰოსტელში დარჩა.

ვიზიტის დანიშნულების ადგილი

ვიზიტების 50% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოსდევს ბათუმი 29.7%-

ით. სხვა დანიშნულების ადგილებს ვიზიტორთა უფრო მცირე რაოდენობა ესტუმრა. მათ შორის ყველაზე პოპულარულია მარნეული 13.5% და ყაზბეგი 7.5%. სხვა მნიშვნელოვანი დანიშნულების ადგილებია: მცხეთა (6.6%), გუდაური (5.5%), ქუთაისი (5.1%), სიღნაღი (4.5%), ბორჯომი (4.2%) და ქობულეთი (3.6%).

ვიზიტზე განხორციელებული დანახარჯები

საერთაშორისო ვიზიტორების ჯამურმა დანახარჯებმა 5.8 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო ერთი ვიზიტისას განხორციელდა საშუალო დანახარჯმა 889 ლარი შეადგინა.

დანახარჯების ყველაზე დიდი წილი საკვებსა და სასმელზე (მთლიანი ხარჯების 25.6%) და განთავსების საშუალებებზე (23%) დაფიქსირდა. ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი რეკრეაციულ და კულტურულ აქტივობებზე დანახარჯები (18.5%), ხოლო შოპინგზე ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯების მხოლოდ 13.7% გასწიეს.

ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის მიზანს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების მახასიათებლების განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია ეყრდნობა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მონაცემები დამყარებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ხორციელდება. ინტერვიუები ტარდება კვარტალურად სისტემური შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. შერჩევის ზომა იცვლება კვარტლების მიხედვით: I, II და IV კვარტალში თვეში 900 რესპოდენტი, III კვარტალში-თვეში 1,300 რესპოდენტი.


ინტერვიუები ხორციელდება 15 წლის და უფროსი ასაკის საერთაშორისო ვიზიტორებთან, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას ათ უდიდეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში (აეროპორტები და სახმელეთო საზღვრები).

მთავარი გამოსაქვეყნებელი ინდიკატორები

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სისშირე, გაჩერების ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილი, განთავსების საშუალება, ინფორმაციის წყარო, თანხმლები პირები, ტრანსპორტის საშუალებები, ვიზიტის ორგანიზება, პოპულარული აქტივობები, კმაყოფილების დონე.


დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: www.gnta.ge

ვიზიტის მთავარი მიზანი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საშუალო გაჩერების ხანგრძლივობა ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	საშუალო ღამისთევა
რუსეთი	6
აზერბაიჯანი	2
სომხეთი	2
თურქეთი	2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის პოპულარული აქტივობები




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანახარჯების სტრუქტურა

კომპონენტები	მოლიანი დანახარჯი (X1000)	დანახარჯის წილი
საკვები და სასმელი	1,476,535	25.6%
განთავსების საშუალებები	1,326,905	23%
რეკრეაცია, კულტურული და სპორტული აქტივობები	1,065,962	18.5%
შოპინგი	789,717	13.7%
ადგილობრივი ტრანსპორტი	483,448	8.4%
სხვა დანახარჯები	619,025	10.8%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პოპულარული ლოკაციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ვიზიტორების მახასიათებლები

შიდა ვიზიტორებმა მოცემულ პერიოდში მთლიანობაში 12.6 მილიონი ვიზიტი განახორციელეს. ყველაზე მეტი ვიზიტი 26.1% თბილისიდან დაფიქსირდა.

შიდა ვიზიტების უმეტესობა საქართველოს მთავარი ქალაქების მიმართულებით განხორციელდა.

ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზნები

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა ორ ღამეს შეადგენდა. თბილისის მკვიდრთა ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალი იყო - სამი ღამე, ხოლო სხვა რეგიონებისთვის ეს მაჩვენებელი ერთ ღამეს შეადგენდა.

შიდა ვიზიტების დიდი ნაწილი 50.4% საქართველოს რეზიდენტებმა მეგობრების, ნათესავების მოსანახულებლად განახორციელეს. შოპინგი მოგზაურობის მთავარ მიზანს ვიზიტების 13.4%-ისთვის შეადგენდა, ასევე მნიშვნელოვანი წილით 11.2%-ით იყო წარმოდგენილი მკურნალობა და გაჯანსაღების მიზნით განხორციელებული ვიზიტები. რაც შეეხება დასვენება, გართობა და რეკრეაციას, ამ მიზნით განხორციელებულმა ვიზიტებმა 9.9% შეადგინა. სხვა ხშირად დაფიქსირებული ვიზიტების მიზნებს შორის იყო: მეორე სახლის მონახულება 6.5% და ბიზნესი და პროფესიული საქმიანობა 4.4%.

ვიზიტის დანიშნულების ადგილი

შიდა ვიზიტების 25.5% თბილისის მოსანახულებლად განხორციელდა. მას მოჰყვება ბათუმი 9.3% და ქუთაისი 8%. სხვა დანიშნულების ადგილებს შორის იყო რუსთავი 2.6%, მცხეთა 2.5%, გორი 1.6%, თელავი 1.5% და მარნეული 1.5%.

რეგიონებს შორის ყველაზე პოპულარული იმერეთი 18.6%, აჭარა 12.9% და სამეგრელო-ზემო სვანეთი 7.3% იყო.

განთავსების საშუალებები

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული ღამისთევების საერთო რაოდენობამ 23.97 მილიონი შეადგინა. მათ შორის, ვიზიტორებმა ღამისთევების 61.8% მეგობრის, ნათესავის ბინაში გაატარეს, 24.7% - საკუთარ სახლში, ხოლო 3.9% კი საოჯახო სასტუმროში.

დანახარჯები

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი 1.6 მილიარდ ლარს აღემატებოდა, ხოლო ერთი ვიზიტისას განეული საშუალო დანახარჯი 129 ლარს შეადგენდა. დანახარჯების ყველაზე დიდი წილი 30.8% საყიდლებზე დაფიქსირდა.



ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მიზანს შიდა ვიზიტების სტრუქტურის განსაზღვრა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

მონაცემები დაფუძნებულია კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით ჩატარდა. ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტები, რომელთაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში განხორციელებული ჰქონდათ ვიზიტი საქართველოში.


შიდა ტურიზმი-საქართველოს ტერიტორიაზე რეზიდენტების მიერ მათი ბუნებრივი გარემოს ფარგლებს გარეთ განხორციელებული ვიზიტი. იმისათვის, რომ ვიზიტს მიენიჭოს შიდა ვიზიტის კლასიფიკაცია, ერთდროულად ორი ლოკაციისა და რეგულარობის მეთოდი გამოიყენება. კერძოდ, ბუნებრივი გარემოს უკეთ წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი ფაქტია შიდა ვიზიტი განხორციელდა თუ არა მუნიციპალიტეტის გარეთ. მეორე მეთოდი განსაზღვრავს კონკრეტულად ვიზიტის სიხშირეს, თუ შიდა ვიზიტორი სტუმრობს სხვა მუნიციპალიტეტს უფრო იშვიათად ვიდრე ორ კვირაში ერთხელ, ეს ვიზიტი არ განიხილება, როგორც რეგულარული.

ძირითადი ინდიკატორები

საცხოვრებელი ადგილი, ვიზიტის მიზანი და სიხშირე, ვიზიტის ხანგრძლივობა, მონახულებული ადგილები, განთავსების საშუალებები, ინფორმაციის წყაროები, სატრანსპორტო საშუალებები, კმაყოფილების დონე, დანახარჯები.


დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის www.gnta.ge და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდზე: www.geostat.ge

ასაკობრივი პროფილი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის მთავარი მიზანი




50.4%

შიდა ვიზიტების უმეტესობა მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად განხორციელდა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის პოპულარული აქტივობები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განთავსების საშუალებებში ღამისთევა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის დანახარჯები

კომპონენტები	მთლიანი ხარჯი ლარი (x1000)	დანახარჯის წილი
საყიდვები	503,137	30.8%
საკვები და სასმელი	400,712	24.6%
ტრანსპორტი	303,918	18.6%
განთავსების საშუალება	66,626	4.1%
რეკრეაცია, კულტურული აქტივობები	21,051	1.3%
სხვა	336,076	20.6%


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვიზიტის ხანგრძლივობა

რეზიდენტობის ადგილი	საშუალო ხანგრძლივობა (ღამე)
თბილისი	3
გურია	2
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2
ქვემო ქართლი	1
კახეთი	1
სამცხე-ჯავახეთი	1
აჭარა	1
შიდა ქართლი	1
მცხეთა-მთიანეთი	1


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მონახულებული რეგიონები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პოპულარული ლოკაციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმი, ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და სწრაფად მზარდია მთელ მსოფლიოში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2017 წელს ამ დარგის პირდაპირმა კონტრიბუციამ მთლიან მშპ-ში 2.6 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა (3.2%) და ხელი შეუწყო 118 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წვლილი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 10.4%, ერთი ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან, 4.5% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6.5% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში (Economic Impact of Travel and Tourism 2018, Annual Update, WTTC).

ტურიზმი - უხილავი ექსპორტი

უცხოელი ვიზიტორების დანახარჯებს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს საქართველოს საგადასხდელო ბალანსზე. დაახლოებით 68% საქართველოს სერვისის ექსპორტის შემოსავლებიდან ტურიზმზე მოდის. აქტივების მხარეს საგადასხდელო ბალანსი აღწერს საქართველოს შემოსავალს უცხოური ვიზიტორების მოგზაურობიდან საქართველოში, ხოლო ვალდებულებების მხარეს აჩვენებს საქართველოს რეზიდენტების დანახარჯებს საზღვარგარეთ ყოფნის დროს.

2017 წელს შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენდა 2.75 მილიარდ დოლარს (ზრდა +27%), ხოლო საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ ტურიზმზე 0.46 მილიარდი დოლარი შეადგინა (ზრდა +20%). შედეგად, უცხოური ტურიზმის ბალანსი საქართველოში შეადგენდა 2.29 მილიარდ დოლარს (ზრდა +28.5%).

2017 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადასხდელო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 2.06 მილიარდი ლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით +26.8%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

ტურიზმის წილი ეკონომიკაში

2017 წელს მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 2.24 მილიარდ ლარს მიაღწია გაზრდილი მოთხოვნის გამო (ზრდა +13%). შედეგად, ტურიზმის წილი დამატებული ღირებულება, როგორც მშპ-ს წილი 6.7%-დან 6.9%-მდე გაიზარდა. 2017 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული ღირებულება ძირითადად შეიქმნა ტურისტულ კომპანიებში (ზრდა +7%), ტრანსპორტში (საჰაერო ტრანსპორტის ზრდა +34.9%, სხვა ტრანსპორტი ზრდა +10.6%), კვების საშუალებებში (ზრდა +8.1%) და განთავსების საშუალებებში (ზრდა +30.5%)


ძირითადი გამოქვეყნებული ინდიკატორები

- ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში.
- ტურიზმის წილი მთლიან გამოშვებაში.
- უცხოური ვალუტის შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან.
- უცხოური ვალუტის დანახარჯები უცხოურ ტურიზმზე.
- უცხოური ტურიზმის ბალანსი.
- საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადასხდელო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები.

უფრო დეტალური ინფორმაცია ტურიზმის ეკონომიკაში კონტრიბუციის შესახებ იხილეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის www.geostat.ge საქართველოს ეროვნული ბანკის www.nbg.gov.ge და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: www.gnta.ge



ტურიზმის წილი მშპ-ში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება 2014-2017 (ათასი ლარი)

	2014	2015	2016	2017	ცვლილება % 2016-2017
სულ	1,586,659	1,842,131	1,978,295	2,235,363	13%
მათ შორის	↓	↓	↓	↓	↓
განთავსების ობიექტები	222,471	284,380	344,041	448,891	30.5%
კვების ობიექტები	373,178	409,548	478,084	516,918	8.1%
ტრანსპორტი	445,707	444,045	460,005	524,362	14%
ტურისტული კომპანიები	545,303	704,158	696,165	745,192	7%


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციები (ათასი ლარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 2014 -2017 (ათასი აშშ დოლარი)

	2014	2015	2016	2017	ცვლილება % 2016-2017
სულ	1,787,140	1,935,915	2,166,334	2,751,280	27%
მათ შორის	↓	↓	↓	↓	↓
I კვ.	315,461	306,365	352,524	434,579	23.3%
II კვ.	429,690	460,056	515,388	658,829	27.8%
III კვ.	649,775	741,807	817,192	1,081,074	32.3%
IV კვ.	392,215	427,688	481,229	576,798	19.9%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საავიაციო ბაზარი

საქართველოს საავიაციო ბაზარი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა. საქართველოში სამი საერთაშორისო და ორი შიდა აეროპორტი ფუნქციონირებს, რომლებიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებს. საქართველოს საავიაციო ბაზარი უმეტეს წილად საერთაშორისოა; ფრენების უმეტესი ნაწილი თბილისის აეროპორტზე მოდის.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს მართავს თურქული კომპანია TAV Airports Holding Co. აეროპორტებმა ფუნქციონირება შესაბამისად 2007 წლის თებერვალში და მისიმი დაიწყეს. 2011 წელს ოფიციალურად გაიხსნა მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი, ხოლო 2012 წლის სექტემბერში ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. აღნიშნულ აეროპორტში პირველი ავიარეისი უნგრულმა ავიაკომპანიამ Wizz Air-მა კიევის მიმართულებით შეასრულა. ბაზარზე სხვა დაბალბიუჯეტური გადაამზიდავებიც ოპერირებენ, მათ შორის: Pegasus, Air Arabia, Air Arabia Jordan და Pobeda Airlines. ასევე აღსანიშნავია, რომ დაბალტარიფიანი სქემის ელემენტები მოცემულია შემდეგი ავიაკომპანიების სატარიფო სქემაში: Flydubai, UIA, Air Baltic, Atlasglobal. საქართველოში არსებულ აეროპორტებს 2017 წელს ამბროლაურში კიდევ ერთი ადგილობრივი აეროპორტი დაემატა. საქართველოში აეროპორტების რიცხვი მომავალშიც გაიზრდება. მიმდინარეობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უმოქმედო აეროდრომების, ვერტოდრომებისა და ასაფრენ დასაფრენი ზოლების შესწავლა და შეფასება მათი სამომავლო ექსპლუატაციის მიზნით.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების გამტარუნარიანობა 3,000 და 600 მგზავრი/საათია შესაბამისად, ხოლო ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის 800 მგზავრი/საათი. რაც შეეხება მესტიის და ამბროლაურის აეროპორტებს, მათი დატვირთვა შესაბამისად 50 და 100 მგზავრია საათში.

ავიანაზები

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანახმად, Turkish Airlines არის უმსხვილესი კომპანია, რომელიც საქართველოს საავიაციო ბაზარზე საქმიანობს და მგზავრების ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავს. 2017 წელს ამ კომპანიის მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ 463,840 (11.4%) შეადგინა. Georgian Airways არის სიდიდით მეორე გადაყვანილი კომპანია 385,894 (9.5%) მგზავრით. მგზავრების რაოდენობით მას მოსდევს Wizz Air - 313,325 (7.7%), Ukraine International Airlines - 282,616 (6.9%), FlyDubai - 244,208 (6%), Aeroflot - 198,754 (4.9%), S7 Airlines - 174,381 (4.3%), Ural Airlines - 155,217 (3.8%), Pegasus - 129,006 (3.2%).

2017 წელს 53 საერთაშორისო და ერთი შიდა ავიაკომპანია სთავაზობდა მგზავრებს კომფორტულ ფრენებს საქართველოდან.


საქართველოში მოქმედი ძირითადი ავიაკომპანიებია: Turkish Airlines, Georgian Airways, Wizz Air, Ukraine International Airlines, FlyDubai, Aeroflot, S7 Airlines, Ural Airlines, Pegasus, Qatar Airways, EL AL Israel Airlines, Air Arabia, Taban Airlines, Belavia, Azerbaijan Airlines, Atlas Global, Luftansa, Zagros Airlines, Yanair, Air Astana, LOT Polish Airlines და სხვა.

2017 წელს 14 ახალი საერთაშორისო ავიაკომპანია შემოვიდა საქართველოს საავიაციო ბაზარზე, მათ შორისაა: ბაჰრეინის ავიაკომპანია Gulf Air, იორდანული ავიაკომპანია Air Arabia Jordan, რუსული ავიაკომპანიები RedWings, Nordavia Regional Airlines, Severstal და Saratov Airlines, ირანული Iran Aseman Airlines და ქუვეითის Kuwait National Airlines (Watanya Airlines). ჩარტერულ რეისებს ასრულებდნენ რუსული ავიაკომპანია Nordstar, ირანული ავიაკომპანია Kish Air, უკრაინული ავიაკომპანია Anda Air, ლიბანური ავიაკომპანია Small Planet, ლიბანური ავიაკომპანია Wings of Lebanon და იორდანული ავიაკომპანია Royal Wings Airlines.


ეს წელი გამოწვევებით სავსე იქნება საქართველოს საავიაციო ინდუსტრიისთვის, რადგან ახალი კომპანიები აპირებენ ბაზარზე შემოსვლას, ბევრი მოქმედი კომპანია გამოხატავს ფრენის სიხშირის გაზრდის ინტერესს.

2018 წელს დაგეგმილია რამდენიმე ახალი ავიაკომპანიის შემოსვლა საქართველოს ავიაბაზარზე, რომლებიც გეგმავენ ორმხრივი რეგულარული ფრენების დაწყებას. ომანის ავიაკომპანია Salam Air და საუდის არაბეთის ავიაკომპანია Flynas თბილისიდან შესაბამისად მასკატის და რიადის მიმართულებით იწყებს ფრენებს. ქუვეითის ავიაკომპანიები Jazeera Airways და Kuwait Airways თბილისიდან ქუვეითის მიმართულებით განახორციელებს ფრენებს. ასევე იგეგმება ირანული ავიაკომპანია Iran Air-ის მიერ ჩარტერული და რეგულარული რეისების შესრულება თბილისიდან თეირანის მიმართულებით.

მოიცავს შემდეგ აეროპორტებს:
თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი, ამბროლაურის აეროპორტი.




ეროვნული ავიახაზები
9.5%



საერთაშორისო
ავიახაზები
90.5%


წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

თბილისი
77.7%



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ავიაკომპანიების წილობრივი განაწილება



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

პირდაპირი ფრენები საქართველოდან




ახალი ავიაკომპანიები 2017 (რეგულარული)

ავიასაზები	ფრენა	სიხშირე
Gulf Air	თბილისი-ბაჰრეინი-თბილისი	სამჯერ კვირაში
Air Arabia Jordan	თბილისი-ამანი-თბილისი	ორჯერ კვირაში
RedWings	ბათუმი-მოსკოვი-ბათუმი	ორჯერ კვირაში
Nordavia Regional Airlines	თბილისი-პეტერბურგი-თბილისი	ორჯერ კვირაში
	ბათუმი-პეტერბურგი-ბათუმი	ერთხელ კვირაში
Severstal	ბათუმი-ჩერეპოვეცი-ბათუმი	ერთხელ კვირაში
Iran Aseman Airlines	თბილისი-თეირანი-თბილისი	ორჯერ კვირაში
Kuwait National Airlines	თბილისი-ქუვეითი-თბილისი	სამჯერ კვირაში
Saratov Airlines	თბილისი-მინვოდი-თბილისი	ერთხელ კვირაში


წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები




წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი: მგზავრები და ფრენები



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

ახალი მიმართულებები საქართველოს აეროპორტებიდან 2017 (რეგულარული)

ავიასაზები	ფრენა	სიხშირე
Georgian Airways	თბილისი-პრატა-თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი-ლონდონი-თბილისი	სამჯერ კვირაში
Fly Dubai	ბათუმი-დუბაი-ბათუმი	სამჯერ კვირაში
Gulf Air	თბილისი-ბაჰრეინი-თბილისი	სამჯერ კვირაში
Ural Airlines	თბილისი-სოჭი-თბილისი	ორჯერ კვირაში
	თბილისი-ჟუკოვსკი-თბილისი	ოთხჯერ კვირაში
Air Arabia Jordan	თბილისი-ამანი-თბილისი	სამჯერ კვირაში
Wizz Air	ქუთაისი-ლონდონი-ქუთაისი	ორჯერ კვირაში
S7 Airlines (Siberia)	თბილისი-ნოვოსიბირსკი-თბილისი	ერთხელ კვირაში
ELLINAIR	თბილისი-პერაკლიონი-თბილისი	ერთხელ კვირაში
Ukraine International Airlines	ბათუმი-ზაპოროჟიე-ბათუმი	ორჯერ კვირაში
Scat	ქუთაისი-აქტაუ-ქუთაისი	ორჯერ კვირაში
Kuwait National Airways (Watanya Airways)	თბილისი-ქუვეითი-თბილისი	სამჯერ კვირაში
Saratov Airlines	თბილისი-მინვოდი-თბილისი	ერთხელ კვირაში

წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო



განთავსების საშუალებების ბაზარი

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების საშუალებების რაოდენობამ 1,955 შეადგინა, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობამ 65,943. თბილისი ლიდერია 17,956 (27.2%) საწოლი ადგილით, მას მოსდევს აჭარის რეგიონი - 12,126 (18.4%) რაოდენობით.

თბილისში რამდენიმე საერთაშორისო ბრენდის სასტუმროა: Radisson Blu Iveria Hotel, Tbilisi Marriott, Courtyard Marriott, Sheraton, Holiday Inn, Citadines Apart Hotel, Best Western Tbilisi, Mercure, Hotels and Preference, The Biltmore Hotel. 2017 წელს ამ სიას Ibis Styles Tbilisi Center დაემატა.

საერთაშორისო ბრენდის სასტუმროები საქართველოს სხვა ქალაქებშიც იწყებენ ფუნქციონირებას. ბათუმში არსებულ საერთაშორისო ბრენდის სასტუმროებს 2017 წელს Wyndham Batumi და Sky Tower Hotel Batumi დაემატა, ხოლო Best Western საერთაშორისო ბრენდის სასტუმროებმა ფუნქციონირება ბაკურიანში, ბათუმსა და ქუთაისში დაიწყეს.

STR გლობალის თანახმად, 2017 წელს საქართველოში ძირითადი სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი 62% იყო, ზრდამ წინა წელთან შედარებით +9% შეადგინა. ყველაზე მაღალი დატვირთვა აგვისტოში - 88%, სექტემბერში - 85% და ივლისში - 84% დაფიქსირდა, ხოლო დაბალი იანვარში - 32%, თებერვალში - 36% და დეკემბერში - 41%.

ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს და დაგეგმილია რამდენიმე განთავსების ობიექტის მშენებლობა. თბილისში დაგეგმილია ისეთი ბრენდის სასტუმროების მშენებლობა, როგორცაა: Hilton Garden Inn, Holiday Inn Express, Park Inn by Radisson, Ramada Encore, Rixos Tbilisi, Hyatt Regency, Moxy Marriott, Radisson Blu telegraph, Golden Tulip, Marriott Autograph Collection-Panorama freedom Square, Marriott Autograph Collection-Panorama Sololaki, Pulman Hotels & Resort, Tabori Ridge Recreation & Golf Resorts, Hilton Tbilisi და Best Western Tbilisi City Centre. რეგიონებში აშენდება: Courtyard by Marriott (ბათუმი), Babylon Tower (ბათუმი), Pulman Hotels & Resort (ბათუმი), Le Meridien (ბათუმი), Swisotel (ბათუმი), Twin Tower (ბათუმი), Best Western Premier Batumi (ბათუმი), Wellness Resort & Spa on Mtsvane Kotskhi (მწვანე კონცხი), Ramada Resorts (გოდერძი), Radisson Blu Gudauri (გუდაური), Rooms Hotel (ბაკურიანი), Radisson Blu Resort (წინანდალი), Golden Tulip (თელავი), Holiday Inn (თელავი), Ramada Encore (ქუთაისი), Best Western Sairme Resorts (საირმე) და სხვა.

2017 წელს საწოლი ადგილების რაოდენობის ზრდის მიხედვით თბილისი ლიდერობს. 2017 წელს გაიხსნა 80-ზე მეტი ახალი განთავსების საშუალება 4,900-ზე მეტი საწოლი ადგილით. მათ შორის თბილისი

ლიდერია 1,362 დამატებითი საწოლი ადგილით (28%), შემდეგ მოდის აჭარა - 1,336 (27%), გურია 957 (19%) და სხვა.


ბრენდირებული სასტუმროების დიდი წილი (80%) თბილისზე და ბათუმზე მოდის. საქართველოში არსებული 26 ბრენდირებული სასტუმროდან 12 თბილისში ფუნქციონირებს და ქმნის 3,414 საწოლ ადგილს. შემდეგ მოდის ბათუმი 8 ბრენდირებული სასტუმროთი, რომელიც დამატებით ქმნის 2,142 საწოლ ადგილს, ხოლო დანარჩენი 6 სასტუმროდან სამი ბორჯომში და თითო-თითო ბაკურიანში, სტეფანწმინდასა და ქუთაისში ფუნქციონირებს ჯამში 1,228 საწოლი ადგილით.

საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების რაოდენობა ყოველწლიურად მკვეთრად იზრდება განსაკუთრებით რეგიონებში. 2017 წელს საქართველოში ექვსმა ახალმა საერთაშორისო ბრენდის სასტუმრომ დაიწყო ფუნქციონირება, აქედან ხუთი რეგიონში გაიხსნა. ბათუმში არსებულ საერთაშორისო ბრენდის სასტუმროებს 2017 წელს Wyndham Batumi და Sky Tower Hotel Batumi დაემატა, ხოლო Best Western საერთაშორისო ბრენდის სასტუმროებმა ფუნქციონირება ბაკურიანში, ბათუმსა და ქუთაისში დაიწყეს. 2018-2020 წლებში რეგიონებში ახალი ბრენდის სასტუმროების გახსნა იგეგმება, მათ შორის: ბათუმში, მწვანე კონცხზე, გოდერძიზე, გუდაურში, ბაკურიანში, წინანდალში, საირმეში, თელავსა და ქუთაისში.


Airbnb-ის საშუალებით დაბრონილ განთავსების საშუალებებში ღამისთევების რაოდენობა იზრდება (Colliers International). მსოფლიოში ცნობილ განთავსების საშუალებების დაბრონვის საიტზე Airbnb საქართველოში რეგისტრირებული ქონების რაოდენობა ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება. 2017 წელს რეგისტრირებული ქონების რაოდენობა 9,679 იყო, რაც წინა წელთან შედარებით +70%-იან ზრდას წარმოადგენს. 2017 წლის ივნისი-დეკემბრის განმავლობაში დაბრონილი ღამეების რაოდენობა 222,444 იყო, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან ზრდა +224%-ს შეადგენს.

ანგარიში ბრენდის სასტუმროებში ივლისსმება: Best Western Tbilisi; Citadines Apart'hotel; Courtyard Marriott Hotel; Crowne Plaza Borjomi; Divan Suites Batumi; Hilton Hotels & Resorts; Holiday Inn Tbilisi; Hotels and Preference Hualing Tbilisi; Mercure Tbilisi Old Town; Radisson Blu Hotel, Batumi; Radisson Blu Iveria Hotel, Tbilisi; Rixos Hotel, Borjomi; Rooms Hotel Kazbegi; Rooms Hotel Tbilisi; Sheraton Batumi Hotel; Sheraton Metechi Palace, Tbilisi; Tbilisi Marriott Hotels, The Biltmore Hotel Tbilisi, Golden Tulip Borjomi, Ibis Styles Tbilisi centre, Tbilisi; Best Western Kutaisi, Best western Plus Bakuriani, Best Western Plus Batumi, Wyndham Batumi, Euphoria Hotel, Batumi; Sky Tower Hotel Batumi.

განთავსების საშუალებების განაწილება




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საწოლი ადგილების რაოდენობა რეგიონების მიხედვით




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

განთავსების საშუალებები ოთახების რაოდენობისა და რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დატვირთვის კოეფიციენტი



წყარო: STR

დატვირთვის კოეფიციენტი დათვლილია შემდეგი სასტუმროების გათვალისწინებით:

Leogrand Hotel, Crowne Plaza Borjomi, Divan Suites Batumi, Ambassadors Tbilisi Hotel, Citadines City Centre Tbilisi, Courtyard Tbilisi, Ibis Styles Tbilisi Center, Mercure Tbilisi Old Town, Hotel citrus, Marriott Tbilisi Hotel, Millenium The Biltmore Tbilisi, Radisson Blu Iveria Hotel Tbilisi, ROOMS HOTEL Tbilisi, The Shota Hotel, The Grove Design Hotel, Hotels & Preference Hualing Tbilisi, Ameri Plaza, Holiday Inn Tbilisi, Wyndham Batumi, Radisson Blu Hotel Batumi, Sheraton Hotel Batumi, Hilton Batumi, Georgia Palace Hotel & Spa.

2017 წელს გახსნილი სასტუმროები



SKY TOWER HOTEL BATUMI / ბათუმი
 IBIS STYLES TBILISI CENTER / თბილისი
 THE GROVE DESIGN HOTEL / თბილისი
 IOTA HOTEL TBILISI / თბილისი
 BEST WESTERN PLUS / ბათუმი
 BEST WESTERN / ქუთაისი
 WYNDHAM BATUMI / ბათუმი
 TBILISI LAERTON HOTEL / თბილისი

HOTEL IREPALACE BATUMI / ბათუმი
 HOTEL AIVANI / თბილისი
 GUDAURI INN / გუდაური
 GALLERY PALACE / თბილისი
 ALPHABET HOTEL / თბილისი
 AMERI PLAZA / თბილისი
 QUADRUM-GUDAURI / გუდაური

 **4,900+**
 საწოლი

დაგეგმილი განთავსების ობიექტების მშენებლობები 2018 / 2020

ROOMS HOTEL / ბათუმი
 HILTON GARDEN INN / თბილისი
 PARK INN BY RADISSON / თბილისი
 RIXOS TBILISI / თბილისი
 PULLMAN HOTELS & RESORT / თბილისი
 HYATT REGENCY / თბილისი
 MOXY HOTELS / თბილისი
 HILTON TBILISI / თბილისი
 BEST WESTERN TBILISI CITY CENTRE / თბი-
 ლისი
 RADISSON BLU TSINANDALI / წინანდალი
 BABYLON TOWER / ბათუმი
 PULLMAN HOTELS & RESORTS / თბილისი
 RADISSON BLU GUDAURI / გუდაური
 COURTYARD BY MARRIOTT / ბათუმი
 RADISSON BLU TELEGRAPH / თბილისი
 RAMADA ENCORE / თბილისი
 GOLDEN TULIP / თბილისი
 MARRIOTT AUTOGRAPH COLLECTION PANO-
 RAMA FREEDOM SQUARE / თბილისი

MARRIOTT AUTOGRAPH COLLECTION - PAN-
 ORAMA SOLOLAKI / თბილისი
 SWISSOTEL / ბათუმი
 LE MERIDIEN HOTELS / ბათუმი
 TWIN TOWER / ბათუმი
 BEST WESTERN PREMIER BATUMI / ბათუმი
 TABORI RIDGE RECREATION & GOLF
 RESORT / თბილისი
 WELLNESS RESORTS & SPA ON MTSVANE
 KONTSKHI / მწვანე ქონსი
 MARRIOTT AUTOGRAPH COLLECTION-HOTEL
 & SPA RESORT / შეკვეთილი
 RAMADA ENCORE / ქუთაისი
 HOLIDAY INN / თელავი
 ROOMS HOTEL / ბაკურიანი
 BEST WESTERN SAIRME RESORTS / საირემო
 GOLDEN TULIP / თელავი
 RAMADA RESORTS / გოდერძი

 **23,300+**
 საწოლი

დაცული ტერიტორიები

დაცული ტერიტორიების ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაა. მათ სხვა მრავალი ფუნქციაც აქვთ, ერთ-ერთი კი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა. საზოგადოებისთვის ნათელი ხდება, რომ დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ არა შემოღობილ და ყველასათვის აკრძალულ ზონებს, არამედ მათი გამოყენება შესაძლებელია ტურისტული მიზნებითაც.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში შექმნილია: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 42 ბუნების ძეგლი, 19 აღკვეთილი და ორი დაცული ლანდშაფტი. საქართველოში 88 დაცულ ტერიტორიას ქვეყნის მთლიანი ფართობის 8.62% (585,883 ჰა) უკავია.

2017 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებს 954,692 ვიზიტორი ესტუმრა, ზრდა წინა წელთან +29.9%-ს შეადგენს. აქედან უცხოელი ვიზიტორების წილი 43.2%-ია.

ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა პრომეთეს მღვიმეს - 163,923 (17.2%) და ყაზბეგის ეროვნულ პარკს - 154,085 (16.1%). პრომეთეს, მარტვილის, ჭაჭუნას, მტირალასა და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა აღემატებოდა ქართველ ვიზიტორთა რაოდენობას. შესაბამისად, უცხოელი ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა ასევე პრომეთეს მღვიმეს და მარტვილის კანიონს სტუმრობდა.

უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობამ დაცულ ტერიტორიებზე 412,529 შეადგინა, ზრდამ კი +32.9%. უცხოელ ვიზიტორთა შორის სქარობობდნენ: რუსები (28.7%), ებრაელები (13.6%), პოლონელები (7.5%), უკრაინელები (6.4%) და გერმანელები (4.5%).

დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 4,504,473 ლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან შედარებით +94.7%-ია. შემოსავლების მიღების მხრივ ლიდერობდნენ: პრომეთეს მღვიმე - 1,887,064 ლარი, მარტვილის კანიონი - 1,274,463 ლარი, ოკაცეს კანიონი - 538,506 ლარი და სათაფლია - 499,019 ლარი.

ძირითადი ინფორმაცია

დაცული ტერიტორიები იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად; დაცული ტერიტორიები ასევე გამოიყენება სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული მიზნებისათვის.

დაცული ტერიტორიების განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანო დაცული ტერიტორიების სააგენტოა. მისი საქმიანობის სფეროს სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის მართვა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია

ვიზიტორები დაცულ ტერიტორიებზე სტუმრობისას ავსებენ სარეგისტრაციო ფორმებს (წარმომავლობა, ასაკი, სქესი და ა.შ.). ვიზიტორთა ცენტრებში, აღნიშნული მონაცემები ტერიტორიული ადმინისტრაციების მიხედვით გროვდება და მუშავდება დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

სახელმწიფო ნაკრძალი - მკაცრი დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით. ამ ტერიტორიაზე ტურისტული აქტივობები არ არის დაშვებული.

ეროვნული პარკი - ეკოსისტემის კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება.

ბუნების ძეგლი - ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა).


აღკვეთილი - ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით.

დაცული ლანდშაფტი - ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება.


მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

სტატისტიკა მონოდებულობა დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ გვერდზე: www.apa.gov.ge

ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო




წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორები ეროვნების მიხედვით

	2014	2015	2016	2017	ცვლილება % 2016-2017
სულ	420,166	518,218	734,874	954,692	29.9%
უცხოელები	147,664	181,329	310,477	412,529	32.9%
ქართველები	272,502	336,889	424,397	542,163	27.7%


წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორები დაცული ტერიტორიების მიხედვით




წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ქართველი და უცხოელი ვიზიტორების განაწილება დაცულ ტერიტორიებზე



შემოსავლების სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით (ლარი)



სექტორის მიმოხილვა

მიუხედავად ბევრი საერთაშორისო თუ შიდა დაბრკოლებისა საქართველოში ტურიზმის სექტორმა ზრდა კვლავ განაგრძო. მომავლისთვის პროგნოზები ოპტიმისტურია. მოსალოდნელია საერთაშორისო შემოსვლების, ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რაც საქართველოს მთავრობის და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის აქტიური მუშაობის შედეგად გახდება შესაძლებელი. ამ კუთხით მნიშვნელოვანია 2015 წელს მომზადებული საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანსაც სწორედ ტურიზმიდან მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღება წარმოადგენს.



ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული აქტივობები მოიცავს: ტურიზმის მცირე ინფრასტრუქტურის განვითარებას, მომსახურების ხარისხის ზრდას, მასშტაბურ მარკეტინგულ კამპანიებს შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე, ახალი ბაზრების ათვისებასა და ტურისტული პროდუქტების განვითარებას.

ტურისტული მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებში განიხილება. 2017 წელს საქართველოს ოთხ ქალაქში მესტიაში, გურჯაანში, ჩოხატაურსა და თბილისში დამონტაჟდა მანათობელი კონსტრუქციები, რომლებზეც დატანილია რეგიონის რუკა და ძირითადი ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაცია. 2017 წელს პროექტ „ღვინის გზაში“ ჩაერთო დამატებით 67 ახალი ობიექტი, ამ ეტაპზე ბენეფიციართა რაოდენობა ჯამში 124-ს შეადგენს. მთის კურორტებზე და ტურისტულ ადგილებში (შაორის წყალსაცავი, შატილი, თეთნულდი, მესტია, ბაკურიანი) განთავსდა სასურათე ჩარჩოები, სადაც ვიზიტორებს სამახსოვრო ფოტოების გადაღების შესაძლებლობა მიეცათ. საქართველოში



არსებულ 19 ტურისტულ საინფორმაციო ცენტრს დამატა ერთი საინფორმაციო ცენტრი წყალტუბოში. 2017 წელს მოხდა ქვემო და შიდა ქართლის რეგიონების საფეხმავლო ბილიკების მოკვლევა და მარშრუტების შემუშავება, ასევე რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთსა და მთიან სამეგრელოში განხორციელდა არსებული მარშრუტების მარკირება. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის ინკლუზიური ტურიზმის განვითარება პრიორიტეტს წარმოადგენს. ყველა სახის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (ეტლით მოსარგებლე/უსინათლო/წარჩენი მხედველობის) სრულად ადაპტირდა წყალტუბოს ცენტრალური პარკი და მიმდებარე ტერიტორია.

მომსახურების ხარისხის განვითარების მიზნით საქართველოს მასშტაბით ხორციელდება ინტენსიური ტრენინგები ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის. 2017 წელს გადამზადების კურსები გაიარა ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულმა 1,300-ზე მეტმა ადამიანმა მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა და ქვემო ქართლის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის, გურის და იმერეთის რეგიონებში. სასწავლო კურსები განხორციელდა შემდეგ თემატიკაზე: სასტუმროს საქმე და მომსახურების უნარ-ჩვევები; გიდის უნარ-ჩვევები; საბაზისო ინგლისური ენის კურსები; მარკეტინგი და გაყიდვების მხარდაჭერა; პრობლემური სიტუაციების მართვა; აგროტურისტული ობიექტების მართვა და ოპერირება; გიდის ტრენინგთა ტრენინგი; გიდის უნარ-ჩვევები; ღვინის გიდის ტრენინგი; მენეჯერის მართვის უნარ-ჩვევები და სხვა.

ტურიზმით დაინტერესებულ პირთათვის გამოიცა სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად მეორე გამოცემა ქართულ ენაზე, ასევე, შიდა ქართლის კულტურული მემკვიდრეობის ბროშურა რუსულ და ინგლისურ ენაზე, შიდა ქართლის ღვინის გზის ბროშურა რუსულ და ინგლისურ ენაზე, გერმანულენოვანი ბროშურა საქართველოში არსებული გემიანული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და შიდა ქართლის სასკოლო ტურების კატალოგი ქართულ ენაზე.



შიდა ტურიზმის სტიმულირების მიზნით პროექტი „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში ჩატარდა შეიდი პრესტური შვიდ რეგიონში, მოეწყო ზამთრის და ზაფხულის სეზონების გახსნა სხვადასხვა ქალაქებსა და კურორტებზე, გაიმართა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება. გარდა ამისა, განხორციელდა ფასდაკლების კვირული კახეთსა და აჭარის რეგიონში. რეგიონების ტურისტული რესურსებისა და პროდუქტის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა 21 პრესტური.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არსებული ბაზრების შენარჩუნებასთან ერთად კონცენტრირებულია ახალი ბაზრების ათვისებაზე, მათ შორისაა გალფის ქვეყნები და ჩინეთი, რომელთაც დიდი პოტენციალი გააჩნიათ.

2017 წელს ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო 23 საერთაშორისო და შიდა ტურისტულ გამოფენაში, ჩაატარა 113 პრეს და გაცნობითი ტური (683 ჟურნალისტი და 239 ტუროპერატორი). გარდა ამისა, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ აწარმოა სარეკლამო კამპანია საერთაშორისო ონლაინ პლატფორმა Tripadvisor.com-ზე 10 ქვეყანაში (პოლონეთი, ისრაელი, იტალია, გერმანია, რუსეთი, თურქეთი, უკრაინა, შვედეთი, ნორვეგია და დანია), Expedia-ზე სამ ქვეყანაში (აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია), ზამთრის ინტერნეტ მარკეტინგული კამპანია 19 ქვეყანაში (გერმანია, გაერთიანებული სამეფო, იტალია, ისრაელი, უკრაინა, პოლონეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ქუვეითი, საუდის არაბეთი, ბაჰრეინი და არაბთა გაერთიანებული საემიროები) და ზაფხულის ინტერნეტ მარკეტინგული კამპანია 14 ქვეყანაში (გერმანია, იტალია, ისრაელი, უკრაინა, პოლონეთი, ბელარუსი, აზერ-

ბაიჯანი, ყაზახეთი, რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია და არაბთა გაერთიანებული საემიროები). მიმდინარეობს სარეკლამო კამპანია მსოფლიოს წამყვან ტელეარხებზე, როგორცაა: Discovery Channel, Euronews და BBC.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარებაზე, როგორცაა საქმიანი, ღვინის, ეკო, აგრო, სათავგადასავლო ტურიზმი და სხვა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფარგლებში ოფიციალურ ფუნქციონირებას აგრძელებს საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურო. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, ავსტრიული კომპანია ENITED-ისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს მიერ შემუშავდა საქართველოს საქმიანი ტურიზმის პირველი სტრატეგია.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი წარმატება იყო საერთაშორისო კონგრესებისა და კონვენციების ასოციაციის (ICCA) რეიტინგში პირველი ადგილის დაკავება.

2017 წელს მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენციის ინდექსის თანახმად, საქართველო მსოფლიო ბაზარზე ტურისტული კონკურენტუნარიანობის მიხედვით 70-ე პოზიციას იკავებს 136 ქვეყანას შორის (ქულა:3.70). 2015 წელს შედარებით გაუმჯობესება შეინიშნება შემდეგ მაჩვენებლებში: ბიზნეს გარემო, დაცვა და უსაფრთხოება, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორიტეტულობა, ეკოლოგიური მდგრადობა, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსები, კულტურული რესურსები და საქმიანი მოგზაურობა.



პროექტი Check-in Georgia-ს ფარგლებში საქართველოს ეწვია Aerosmith, ლეგენდარული Gipsy Kings, ცნობილი პოპ მომღერალი Jamiroquai, უცხოეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქეთი მელუა.

პროექტი Check-in Georgia

პროექტი Check-in Georgia მოიცავს ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული და სპორტული ღონისძიებების სერიას, რომელიც თბილისსა და საქართველოს რეგიონებში იმართება.

საქართველოს წარმატებული წელი ჰქონდა ტურიზმის დარგში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. 2017 წლის განმავლობაში ხელი მოეწერა ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ორ შეთანხმებასა და ერთ ურთიერთგაგების მემორანდუმს (მოლდოვა, იორდანია, ბრაზილია).

გარდა ამისა, 2017 წელს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესპანეთში ზურაბ პოლოლიკაშვილი არჩეულ იქნა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანამდებობაზე ოთხი წლის ვადით (2018-2021). ზურაბ პოლოლიკაშვილი აღნიშნულ თანამდებობას 2018 წლის იანვრიდან იკავებს.

აღსანიშნავია National Geographic-ის სპეციალური გამოშვება, რომელიც საქართველოს შესახებ დაიბეჭდა. მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა ქვეყანას 2016 წლის ვიზიტორების რეკორდული მაჩვენებლის აღსანიშნად მომზადებულმა ვირუსულმა ვიდეო კლიპმა. ვიდეო რგოლმა კანის რეკლამის ფესტივალზე ორი მთავარი პრიზი-ვერცხლის და ბრინჯაოს ლომი მიიღო. კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მოგზაურობისთვის უსაფრთხო ქვეყნად საქართველოს დასახელება.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2017 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმატებისა და აღიარების პროგრამის ხუთ ნომინაციაში გაიმარჯვა, მათ შორის: საუკეთესო ინოვაცია, საუკეთესო მიღწევა საერთაშორისო ასპარეზზე, საუკეთესო მომსახურება და ორი ინდივიდუალური ჯილდო, რომელიც მიიღეს ადმინისტრაციის თანამშრომლებმა.

2017 წელს საქართველოში რამდენიმე მაღალი პროფილის ღონისძიება ჩატარდა: გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევრაზიის მთის კურორტების მე-3 კონფერენცია, Touch - ციფრული მარკეტინგის კონფერენცია და საბავშვო ევროვიზიის რიგით მე-15 კონკურსი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კონცერტები მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით. საქართველოს ეწვევა ბრიტანელი პოპ შემსრულებელი ჯეიმს ბლანტი, კონცერტი 26 მაისს ლოკომოტივის სტადიონზე გაიმართება. ასევე საქართველოში ლეგენდარული Led Zeppelin-ის სოლისტი, რობერტ პლანტი ჩამოვა. მუსიკოსი კონცერტს 19 ივლისს Black Sea Arena-ზე შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის ფარგლებში გამართავს. იტალიელი კომპოზიტორისა და დირიჟორის ენიო მორიკონეს კონცერტი 19 მაისს Black Sea Arena-ზე გაიმართება. ჯგუფი The Chemical Brothers საქართველოში 1 სექტემბერს შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის ფარგლებში ქართველი მსმენელის წინაშე რუსთაველი საერთაშორისო მოტოპარკში წარსდგება. 9 ივნისიდან 25 აგვისტომდე თბილისში, რიყის პარკში ყოველ შაბათს გაიმართება საღამოები სუხიშვილებისა და თეატრალურის კვარტეტის მონაწილეობით. 23-26 აგვისტოს ანაკლია ტურისტულ რესტავრაციას ECHOVAVES ფესტივალს. Check-in Georgia უკვე მესამე წელია წარმატებით ხორციელდება და მან უკვე ტრადიციული ხასიათი მიიღო.

მსოფლიო გიდების ასოციაციის კონგრესი

2019 წლის იანვარში საქართველო მსოფლიო გიდების ასოციაციების კონგრესს უმასპინძლებს. კონგრესში მონაწილეობას 70 ქვეყნიდან 300-დან 500-მდე დელეგატი მიიღებს. აღნიშნული კონგრესის საქართველოში ჩატარება ტურიზმის სექტორის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია და ქვეყანაში ტურისტული გიდების პროფესიის განვითარებას დაეხმარება. 2019 წელს დაგეგმილი კონგრესის მასპინძელ ქვეყნად საქართველოს კანდიდატურა გიდების ასოციაციამ ირანში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით წარადგინა. საქართველოს კონკურენციას უწევდნენ ტაილანდისა და ნიუ-იორკის გიდების ასოციაციები. სხვადასხვა ქვეყნის დელეგატებს შორის, საქართველოს კანდიდატურამ ყველაზე დიდი მონაწილეობა დაიმსახურა და კენჭისყრის შედეგად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები

ქვეყანა	2016	2017	ცვლილება %
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	6,719,975	7,902,509	17.6%
სხვა ვიზიტები (არატურისტული)	1,327,159	1,419,679	7%
საერთაშორისო ვიზიტები	5,392,816	6,482,830	20.2%
მათ შორის	↓	↓	↓
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	3,428,022	4,136,093	20.7%
აზერბაიჯანი	1,075,820	1,301,556	21%
სომხეთი	1,152,234	1,287,168	11.7%
რუსეთი	849,265	1,135,057	33.7%
უკრაინა	151,630	169,862	12%
პოლონეთი	41,609	48,913	17.6%
ყაზახეთი	40,895	47,241	15.5%
ბელარუსი	32,939	42,149	28%
ლიტვა	13,039	14,565	11.7%
უზბეკეთი	8,649	13,040	50.8%
ლატვია	9,932	11,805	18.9%
ბულგარეთი	11,068	11,022	-0.4%
თურქმენეთი	4,086	9,770	139.1%
ჩეხეთი	7,832	9,435	20.5%
მოლდოვა	6,970	8,164	17.1%
უნგრეთი	5,345	5,731	7.2%
სხვა	16,709	18,997	13.7%
ჩრდილოეთ ევროპა	30,172	42,400	40.5%
გაერთიანებული სამეფო	15,470	22,392	44.7%
შვედეთი	4,757	6,034	26.8%
ნორვეგია	2,797	3,700	32.3%
სხვა	7,148	9,459	32.3%
სამხრეთ ევროპა	41,339	49,808	20.5%
საბერძნეთი	15,905	18,276	14.9%
იტალია	11,432	13,425	17.4%
ესპანეთი	5,760	7,541	30.9%
სხვა	8,242	9,831	19.3%
დასავლეთ ევროპა	67,987	88,840	30.7%
გერმანია	33,469	43,090	28.7%
საფრანგეთი	12,191	16,053	31.7%
ნიდერლანდები	8,766	11,646	32.9%
ავსტრია	5,140	6,998	36.1%

შეიცარია	4,060	5,798	42.8%
ბელგია	4,118	4,972	20.7%
სხვა	243	259	6.6%
აღმოსავლეთ/ხმელთაშუა ევროპა	1,074,336	1,123,698	4.6%
თურქეთი	988,312	1,007,276	1.9%
ისრაელი	85,398	115,040	34.7%
სხვა	626	1,382	120.8%
კარიბი	315	423	34.3%
ცენტრალური ამერიკა	229	246	7.4%
ჩრდილოეთ ამერიკა	30,968	38,610	24.7%
ამერიკის შეერთებული შტატები	27,304	33,569	22.9%
კანადა	3,264	4,483	37.3%
სხვა	400	558	39.5%
სამხრეთ ამერიკა	2,419	3,206	32.5%
ჩრდილო-აღმოსავლეთ აზია	20,682	31,344	51.6%
ჩინეთი	10,847	18,179	67.6%
კორეის რესპუბლიკა	3,113	6,257	101%
სხვა	6,722	6,268	-6.8%
ოკეანეთი	3,251	5,024	54.5%
სამხრეთ აზია	161,669	336,043	107.9%
ირანი	129,933	282,549	117.5%
სხვა	31,736	36,920	16.3%
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	18,606	24,737	33%
ფილიპინები	14,950	19,100	27.8%
სხვა	3,656	5,637	54.2%
ახლო/შუა აღმოსავლეთი	71,377	131,533	84.3%
საუდის არაბეთი	17,593	45,708	159.8%
იორდანია	2,907	12,680	336.2%
არაბთა გაერთიანებული საემიროები	14,374	12,106	-15.8%
ქვეყნები	4,532	11,156	146.2%
სხვა	31,971	49,883	56%
აღმოსავლეთ აფრიკა	2,855	2,789	-2.3%
დასავლეთ აფრიკა	536	745	39%
სამხრეთ აფრიკა	1,180	1,743	47.7%
ჩრდილოეთ აფრიკა	1,623	2,797	72.3%
ცენტრალური აფრიკა	108	119	10.2%
სხვა ქვეყნები	435,142	462,632	6.3%

ტურისტული ტერმინები

აგენტი - პირი ან კომპანია (შემომყვანი ტუროპერატორი, ბითუმად ან საცალოდ მოვაჭრე), რომელიც ყიდის პროდუქტს მფლობელის ნაცვლად.

ბიზნეს ვიზიტორი - არის ვიზიტორი, რომლის ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი ბიზნესი და პროფესიული საქმიანობაა.

ბიზნეს ტურიზმი - აერთიანებს ვიზიტორებს, რომლებიც მოგზაურობენ ყრილობებისთვის, კონფერენციებისთვის, სემინარებისთვის, ვორქშოპებისთვის, სიმპოზიუმებისთვის, გამოფენებისა და სპეციალური ღონისძიებებისთვის.

გამყვანი ტურიზმი - რეზიდენტის მოგზაურობა თავისი ქვეყნიდან საერთაშორისო ტურისტულ ადგილისკენ.

გრძელ დისტანციაზე მოგზაურობა - საერთაშორისო მოგზაურობა ტურისტულ ადგილამდე, რომლის ხანგრძლივობა ხუთ საათზე მეტია.

დისტრიბუცია - არხები ან ადგილები, რომელთა საშუალებითაც მომხმარებელი პროდუქტს შეისყიდის.

ერთდღიანი ვიზიტორი - ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

ეროვნული ტურიზმი - ეროვნული ტურიზმი მოიცავს შიდა და გამყვან ტურიზმს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეზიდენტი ვიზიტორების აქტივობას მოცემული ქვეყნის შიგნით და გარეთ.

კვლევა - პროცესი, რომლის დროსაც შერჩევის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე სტატისტიკური მეთოდოლოგიის სისტემატური გამოყენების გზით ხდება პოპულაციის მახასიათებლების დადგენა.

მეგობრების და ნათესავების მონახულება (VFR) - ვიზიტორები, რომელთა მოგზაურობის ძირითადი მიზანია მეგობრების და ნათესავების მონახულება.

მოკლე დისტანციაზე მოგზაურობა - საერთაშორისო მოგზაურობა ტურისტულ ადგილამდე, რომლის ხანგრძლივობა ხუთ საათზე ნაკლებია.

ონლაინ დისტრიბუცია - ინტერნეტისა და ვებ-გვერდების გამოყენება მომხმარებელამდე პროდუქტის მიწოდებისა და პრომოუშენისათვის.

ოპერატორი - ტურისტული პროდუქტის მფლობელი ან მენეჯერი.

რეზიდენტობის ქვეყანა - შინამეურნეობის რეზიდენტობის ქვეყანა განისაზღვრება იმის მიხედვით თუ სადაა შინამეურნეობის წევრების ეკონომიკური ინტერესების ცენტრი. თუ ინდივიდი ცხოვრობს ერთ წელზე მეტი დროით ქვეყანაში და მისი ეკონომიკური ინტერესების ცენტრი ეს ქვეყანაა, (სადაც დროის უმეტეს ნაწილს ატარებს) ის ითვლება აღნიშნული ქვეყნის რეზიდენტად.

საერთაშორისო ვიზიტორი - 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით.

საერთაშორისო მოგზაური - ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით. ის გამორიცხავს საქართველოს რეზიდენტ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს და მოიცავს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხო ქვეყნის რეზიდენტები არიან.

საერთაშორისო ტურიზმი - მოიცავს შემომყვან და გამყვან ტურიზმს. იგი აერთიანებს ერთი მხრივ, ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებენ ქვეყნის რეზიდენტები ქვეყნის საზღვრებს გარეთ როგორც შიდა ასევე გამყვანი ტურიზმის ფარგლებში. ასევე მოიცავს ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებენ სხვა ქვეყნის რეზიდენტები ქვეყანაში შემომყვანი ტურიზმის ფარგლებში.

საკომისიო - გადასახადი, რომელსაც უხდიან აგენტს პროდუქტის ბაზარზე მიწოდებისთვის, დისტრიბუციის და გაყიდვის სანაცვლოდ.

სრულიად დამოუკიდებელი მოგზაური - მოგზაურები, რომლებიც თვითონ გეგმავენ თავიანთ მოგზაურობას. არსებობს დამოუკიდებელი მოგზაურობის სხვადასხვა ტიპები: მეგობრებისა და ნათესავების მონახულება, ზურგჩანთით მოგზაურობა და ნაწილობრივი პაკეტით მოგზაურობა.

ტურიზმის დისტრიბუციის სისტემა - დამოუკიდებელი ბიზნესების გლობალური ქსელი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს მოძებნოს და დაჯავშნოს მოგზაურობა.

ტურისტი - ვიზიტორი, რომლის მოგზაურობა მოიცავს ღამისთევას.

ტურისტული ადგილი - ტურისტული პროდუქტისა და ადგილის ერთობლიობა.

ტურისტული დანახარჯები - აღნიშნავს იმ თანხას, რომელიც გადახდილია ტურისტული მოგზაურობის დროს საქონელსა და მომსახურებაში, ასევე ძვირფას ნივთებში, რომელიც განკუთვნილია ან პირადი მოხმარებისათვის ან საჩუქრად გადასაცემად. აქ იგულისხმება როგორც თვით ვიზიტორების მიერ გაწეული დანახარჯები, ისე სხვების მიერ დაფარული ან ანაზღაურებული ხარჯები.

ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი - ტურისტული ვიზიტის მთავარი მიზანი არის მიზანი,

რომლის არ არსებობის შემთხვევაშიც ტურისტული ვიზიტი არ შედგებოდა.

ტურისტული ინდუსტრია - ყველა ბიზნესი, რომელიც ჩართულია ტურიზმში, სადისტრიბუციო აგენტებისა და პროდუქტის მიწოდების ჩათვლით.

შემომყვანი ტურიზმი - საერთაშორისო ტურისტული ნაკადების შემოსვლა ქვეყანაში, ასევე ცნობილია როგორც ექსპორტ-ტურიზმი.

შემომყვანი ტუროპერატორი (ITO) - დამაკავშირებელი რგოლი ტურისტული პროდუქტის მფლობელსა და უცხოურ კომპანიას შორის. ის ქმნის ტურისტულ პაკეტს და ყიდის მას პირდაპირ მომხმარებელზე ან უცხოურ კომპანიაზე.

შერჩევა - პოპულაციის ქვესიმრავლე, სადაც ელემენტების შერჩევა ხდება წინასწარ განსაზღვრული ალბათობით.

შეხვედრისა და ნახალისების მგეგმავი - ორგანიზებას უწევს შეხვედრის, ნახალისების და ღონისძიების ყველა ასპექტს.

შიდა ტურიზმი - რეზიდენტი ვიზიტორების აქტივობა მოცემული ქვეყნის შიგნით.

ჩვეული გარემო - ჩვეული გარემო, ტურიზმში ძირითადი კონცეფციაა და განისაზღვრება, როგორც გეოგრაფიული არეალი, რომლის ფარგლებშიც ინდივიდი აწარმოებს რეგულარულ ცხოვრების რუტინას.

ჩვეული რეზიდენტობის ადგილი - ჩვეული რეზიდენტობის ადგილი არის გეოგრაფიული ადგილი სადაც ადამიანი ჩვეულებრივ ცხოვრობს.

წამახალისებელი მოგზაურობა - წამახალისებელი მოგზაურობა არის მგზავრობა, რომელსაც პრიზის ან ჯილდოს სახით სთავაზობენ კარგი შედეგების მქონე თანამშრომლებს ან გაყიდვების აგენტებს.

ანგარიში მომზადდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს მიერ

სამმართველოს უფროსი: გიორგი ბრეგაძე
g.bregadze@gnta.ge

მთავარი სპეციალისტები: ნინო შუკაკიძე
n.shukakidze@gnta.ge

ხატია ვაშაკმაძე
k.vashakmadze@gnta.ge

სპეციალისტი: ანა არაბული
a.arabuli@gnta.ge

ტელ: +995 322 43 69 99 (1820)
infostatistics@gnta.ge

მადლობა



შინაგან საქმეთა
სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,
საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



დაცული ტერიტორიების სააგენტო



საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო



ოსუ-ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა



**საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო**

ჭოველიძის ქ. 10ა, 0108, თბილისი, საქართველო
ტელ: +(995 32) 299 11 11; +(995 32) 299 11 05
ფაქსი: +(995 32) 292 15 34
E-mail: ministry@economy.ge
www.economy.ge



Georgia

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
სანაპიროს ქ. №4, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 436 999
ფაქსი: +995 32 2 436 085
E-mail: info@gnta.ge
www.georgia.travel
www.gnta.ge



საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო
www.economy.ge



Georgia

საქართველოს ტურიზმის ეროვნული
აღმინისტრაცია
www.georgia.travel